პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 48 (4298)
1971 წ.
11 მარტი,
ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ახალი სეზონი — 71

- საიპოდრომო რბოლაში
- შურკოვსკიმ კვლავ ისახელა თავი
- კიეველები — ფინალში!

● **მოსკოვი, 8 მარტი.** ავტომანქანებით „მოსკვიჩ-412" აქ გამართულ საიპოდრომო რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა მოსკოველმა ინჟინერ-გამომცდელმა ა. საფონოვმა. „ვოლგებით" შეჯიბრებაში ამ უმაღლეს წოდებას დაეპატრონა რიგელი ტაქსის შოფერი ვ. კალნინი.

● **ალჟირი, 8 მარტი.** შარშანდელ მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებულმა პოლონელმა სპორტსმენმა რ. შურკოვსკიმ წარმატებით აიღო სტარტი ახალ სპორტულ სეზონშიც — გაიმარჯვა ალჟირის ტრადიციულ რბოლაში „გრან პრი ანაბა". ამ ველოტურის სიგრძე 800 კილომეტრია და შურკოვსკიმ იგი 23 საათში, 5 წუთსა და 31 წამში დაფარა. პოლონეთის ნაკრებმა პირად ჩათვლაშიც ყველას აჯობა, თითქმის 1 საათით ჩამოიტოვა II ადგილზე გასული ბულგარელები. შეჯიბრების სტარტი 70 ველოსიპედისტმა აიღო, ფინიშთან კი მხოლოდ 46 მივიდა. რამდენიმე დღის შემდეგ აქ კიდევ ერთი ველორბოლა დაიწყება — „ალჟირის ტური". ამ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას.

● **ნიურნბერგი, 8 მარტი.** გფრ-ის ამ ქალაქის სახელწოდების გუნდთან გუშინწინ განმეორებითი შეხვედრა გამართეს კიევის „სპარტაკის" ხელბურთელმა ქალებმა. ეს იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა (10:5), მაგრამ ვინაიდან პირველ მატჩში უკეთესი სხვაობით (15:8) წარმატება კიეველთა მხარეს იყო, შეჯიბრების ფინალშიც ისინი გავიდნენ.

დეპეშა სომხეთიდან

არაგაცზე — თხილამურებით

ქართველ მთამსვლელ ქალთა ჯგუფმა სომხეთის მწვერვალ არაგაცზე (4100 მ) ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით პირველი სათხილამურო ასვლის 30 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყო ასვლა. ეს სათხილამურო ლაშქრობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს მიეძღვნა.

დ. გოზალიშვილი,
ექსპედიციის ხელმძღვანელი, საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპიური კლუბის სასწავლო ნაწილის უფროსი.

რეკორდები

დონეცკში გაიმართა სსრ კავშირის პირველობა მძლეოსნობაში იუნიორთა შორის. კარგად იასპარეზა თბილისელმა სპორტის ოსტატმა თ. ფხაკაძემ (მწვრთნელი გ. მაიერი), რომელმაც ურო 67,24 მეტრზე ტყორცნა და ჩემპიონობა დაისაკუთრა.

ფხაკაძის შედეგი საქართველოს ახალი აბსოლუტური რეკორდია, რაც მისივე ძველ მიღწევას 1,72 მეტრით სჯობს.

სურათზე: თ. ფხაკაძე ასპარეზობისას.

ო. გულაშვილის ფოტო.

რტი, ვეფ-ი და სკა — დაბალ ლიგაში

გაიმართა მორიგი ტურის კიდევ ორი მატჩი.

რიგა. ადგილობრივმა არმიელებმა დაამთავრეს საკავშირო ჩემპიონატი. ბოლო შეხვედრა მათ კაუნასის „ჟალგირისთან" ჰქონდათ. ორივე გუნდი თავგანწირვით იბრძოდა, რაც ანგარიშიდანაც ჩანს. გაიმარჯვა „ჟალგირისმა" — 103:99. ამ წარმატებამ კაუნასის გუნდი ქულებით გაუთანაბრა ცსკა-ს. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო: ვინ იცის, იქნებ „ჟალგირისს" ამ ჩემპიონატში ბედად ვერცხლის მედლებიც უწერია.

ამ მატჩის შედეგმა საბოლოოდ გაარკვია აუტსაიდერთა ურთიერთობა. უმაღლეს ლიგას გაისად დატოვებენ მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელები და რიგის ორივე კოლექტივი — სკა და ვეფ-ი. ასეთი უხეირო წელიწადი რიგელებს არასდროს ჰქონიათ. საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი საკალათბურთო ცენტრი გაისად არც ერთი კოლექტივით არ იქნება წარმოდგენილი უმაღლეს ლიგაში.

მინსკი. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა რიგის მატჩის შედეგი, ადგილობრივი რტი-სა და თბილისის „ბურევესტნიკის" ორთაბრძოლამ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. შეხვედრის შედეგს არც ერთი გუნდისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა: მინსკელები ისედაც განწირული იყვნენ, „ბურევესტნიკს" კი თეორიულადაც აღარ შეეძლო უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლების დაკარგვა. ამიტომ ბრძოლა ჩატარდა მშვიდად. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 75:72.

ეხმაურებიან ყრილობას

საქმით უნდა ვუპასუხოთ



ბავშვობიდანვე მიყვარდა ტოლ-მეგობრებთან ჭიდაობა. სპორტის ამ სახეობას მეორე სპეციალობად არ ვაპირებდი, ბავშვობიდანვე რომ არ მსმენოდა საქართველოს ფალავნების დიდი გამარჯვებების შესახებ მსოფლიო პირველობებსა და ოლიმპიურ თამაშებში. გ. კარტოზია, რ. აბაშიძე, რ. რურუა, ვ. ბალავაძე, დ. ციმაკურიძე, გ. სალარაძე, ვ. რუბაშვილი და სხვები — აი, ჩემი საყვარელი სპორტსმენები. მეც გულისყურით მოვეკიდე თავისუფალი ჭიდაობის საიდუმლოების შესწავლას, დაკვირვებით ვისმენდი მწვრთნელის დარიგებას. ყველაფერმა ამან ნაყოფი გამოიღო: საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი გავხდი, ჩამრიცხეს სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში, სულ ახლახან თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის X საერთაშორისო ტურნირის ლაურეატის სახელიც მოვიპოვე.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ მოგვიწოდა კიდევ უფრო ვამრავლოთ წარმატებები, ვიბრძოლოთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისთვის. მშობლიური პარტიის ამ მოწოდებას საქმით უნდა ვუპასუხოთ.

ამჟამად გაცხოველებით ვემზადები სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის. სურვილი მაქვს პირველი დიდი გამარჯვება სწორედ ამ დიდ ასპარეზობაში მოვიპოვო.

ლ. თედიაშვილი,
სპორტის ოსტატი.

სურათზე: ლ. თედიაშვილი (მარჯვნივ) ჭიდილის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ჩემპიონობას არ დავთმობ

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობა კარგად მაქვს დაცდილი: 1967 წელს ჩემპიონობა მოვიპოვე სპრინტში. მას შემდეგ ყველა საკავშირო ჩემპიონატში, სსრ კავშირის თასის ყველა გათამაშებაში გამოვდივარ და მუდამ პირველი ვარ.

ამჟამად ჩემი მთავარი საზრუნავი საბჭოთა სპორტის ამ დიდ დღესასწაულში გამარჯვებაა. მაქვს კიდევ ერთი სურვილი: დავიბრუნო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სპრინტში. ეს ძნელი ამოცანაა. ფრანგი მორელონის დამარცხება ადვილი საქმე როდია, მაგრამ წარმატება ხომ თავისთავად არ მოდის და მეც გაათკეცებით უნდა ვემზადო, რათა ოცნებას ფრთები შეესხას.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოსულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ სხვა საკითხებთან ერთად ილაპარაკა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მდგომარეობის შესახებ, დაგვისახა ახალი საბრძოლო ამოცანები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ფიზკულტურისა და სპორტის კიდევ უფრო აყვავებას ჩვენში.

დღეისთვის რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა ვალია კარგად მოემზადონ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის, იბრძოლონ, რათა ჩვენი სპორტული დელეგაცია კვლავ იყოს მოწინავეთა რიგებში, ბლომად გვყავდეს სპარტაკიადის ჩემპიონები და პრიზიორები.

ო. ფხაკაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 10 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	20	17	3	1419—1224	17
ცსკა	19	15	4	1502—1332	15
„ჟალგირისი" (კაუნასი)	21	15	6	1723—1628	15
„დინამო" (მოსკოვი)	22	13	9	1721—1622	13
„სტროიტელი" (კიევი)	21	11	10	1559—1507	11
„კალევი" (ტარტუ)	21	10	11	1591—1565	10
„დინამო" (თბილისი)	19	10	9	1466—1514	10
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	19	8	11	1405—1459	8
სკა (კიევი)	21	7	14	1417—1523	7
სკა (რიგა)	22	7	15	1595—1708	7
ვეფ (რიგა)	22	6	16	1640—1815	6
რტი (მინსკი)	21	5	16	1432—1578	5

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი —

სპარტაკიადებისთვის მზადება

ძალები მოსინჯეს

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

V სპარტაკიადა
1971

ჩვენი რესპუბლიკის მესტენდურეები გულმოდგინედ ემზადებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის. ამ მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს ამხანაგური სამატჩო შეხვედრები მოძმე რესპუბლიკების ნაკრებ გუნდებთან. თბილისის სამხედრო-სამონადირეო საზოგადოების სასროლეთზე ჩვენი ნაკრების კანდიდატები ორ დღეს მასპინძლობდნენ უკრაინისა და ლატვიის მსროლელებს, რომელთა შორისაც იყვნენ სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და რეკორდსმენები: სპორტის დამსახურებული ოსტატები ი. ნიკანდროვი, ა. კაპლუნი, ვ. ზიმენკო, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. ტერენტიევი, სპორტის ოსტატები ვ. სმაგინი, ი. ბელიჩენკო.

შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა სროლა 200 სამიზნეზე. ამინდი სპორტსმენებს ხელს არ უწყობდა, განსაკუთრებით კი მეორე დღეს: ქროდა ძლიერი ქარი, წვიმდა. მიუხედავად ამისა, შედეგები კარგი იყო.

როგორც საერთო გუნდური პირველობა, ისე სახეობების მიხედვით გამარჯვება უკრაინის ძლიერმა კოლექტივმა მოიპოვა. მასპინძლები II ადგილს დასჯერდნენ.

ადგილიდან სროლაში პირველი სერიებიდანვე დაწინაურდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ჩემპიონი კ. დარასელია, რომელმაც 186 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა, II ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონი ვ. ზიმენკო (უკრაინა) — 185, III — ასევე უკრაინის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ვ. ლავრინენკო — 184.

დაძაბულად წარიმართა შეჯიბრება მრგვალ სტენდზე სროლაში. სპორტის ოსტატმა ტ. ჟღენტმა კარგად დაიწყო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა ა. კაპლუნმა (უკრაინა) ახალგაზრდა კოლეგას ბოლო სერიაში ხელიდან გამოგლიჯა გამარჯვება. მან 200-დან 190 ქულა დააგროვა. ჟღენტი 2 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა თბილისელი სპორტის ოსტატი თ. მატოიანი — 185.

სეზონის პირველი ასპარეზობის მიხედვით დასკვნების გამოტანა ნაადრევია, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს ხალხთა სპარტაკიადაში ღირსეულად გამოსვლის უნარი შესწევთ.

ჯ. მოწონელიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: მრგვალ სტენდზე შეჯიბრების მომენტი.
თ. გელაშვილის ფოტო.

მეექვსე ადგილის პრეტენდენტების დუელი

ავჭალის სასროლეთზე ხუთ დღეს გაგრძელდა ლატვიისა და თბილისის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა ტყვიის სროლაში. გუნდის ხელმძღვანელებს ეს შეხვედრა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად მიაჩნიათ. სპარტაკიადაში გუნდური VI ადგილისთვის მებრძოლი ორი მომავალი მეტოქის სპორტულმა დავამ საინტერესოდ ჩაიარა. თბილისის ვაჟთა გუნდმა მეტწილად სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ ვარჯიშებში იმარჯვა. საერთო გუნდური გამარჯვება სტუმრებს ხვდათ, ვინაიდან მატჩის პროგრამა ფართო იყო.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლა ჩინებული შედეგით (563 ქულა) მოიგო თბილისელმა ვ. სალუქვაძემ. ეს 13 ქულით აღემატება სპორტის ოსტატის ნორმატივს. ამ ვარჯიშში კარგად გამოვიდნენ, აგრეთვე, გამარჯვებულის თანაქალაქელები ო. კვირიკაშვილი (555), მ. პაპავა (552) და ლატვიელი პ. გრუზდინში (552).

„გაქცეულ ტახზე" სროლაში 357 ქულით I ადგილი დაიკავა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, რიგელმა ა. ბუცისმა. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. აგარონოვმა სროლის მაღალი ტექნიკა გამოავლინა, 366 ქულა მოაგროვა და არა მარტო პირველად გადააჭარბა ოსტატის ნორმატივს, არამედ ოლქის ახალი რეკორდიც დაამყარა. გ. ბექთაშევი (თბილისი) ახალგაზრდა რეკორდსმენს 4 ქულით ჩამორჩა.

შემდეგ ჩატარდა შეჯიბრება „გაქცეულ ირემზე" სროლაში. როგორც ერთმაგ, ისე ორმაგ გასროლებში პირველობა არავის დაუთმო მასპინძელმა გ. თავდიდიშვილმა, რომელმაც შესაბამისად 228 და 231 ქულა დააგროვა. ერთმაგ გასროლებში მომდევნო ადგილები გაინაწილეს თბილისელმა ს. ქუსიკაშვილმა (224) და ბუცისმა (220), ორმაგში — ბუცისმა (224) და თბილისელმა ა. ნაცვლიშვილმა (214).

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ხუთ სილუეტზე სწრაფსროლაში ყველას აჯობა ხ. ხაზენფუსმა (591). II და III ადგილებზე გასულმა მასპინძლებმა ე. კარტაშიანმა და მ. ჟამურაშვილმა შესაბამისად 589 და 588 ქულა დააგროვეს.

მსხვილკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ და შავ სამიზნეებზე ასპარეზობა სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა. საპრიზო სამეულის შემადგენლობა ასეთია: ა. კუზმინი (589), გრუზდინში (584) და ხაზენფუსი (584). ქალებმა ეს კომბინირებული ვარჯიში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შეასრულეს და ასეთი შედეგები აჩვენეს: თბილისელი ტ. კაზარიანი — 570, ლატვიელი მ. სანდერე — 568, თბილისელი ტ. სიდამონიძე — 567.

თბილისელმა ე. აბაჯიანმა, რომელსაც უკანასკნელი სერია უკეთესი აღმოაჩნდა, გაიმარჯვა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში — 591 ქულა. ასეთივე შედეგით II ადგილზეა ლატვიელი ი. შილვანი. გ. ბურჩუკურმა (თბილისი) მათთან ქულა წააგო.

ამ ვარჯიშში ქალები ვაჟებს 10 ქულით ჩამორჩნენ. ლატვიელებმა ვ. სიტკევიჩამ (581) და ი. ბორტნიკოვამ (581) I და II ადგილები დაიკავეს. მესამე იყო თბილისელი ვ. კურნოჟიცკაია (580).

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა მოიგო აბაჯიანმა — 1.136. ქალებმა მცირე სტანდარტი (3×20) შეასრულეს. პირველობა მოიგო თბილისელმა ნ. ერმიშიანმა — 550.

სამატჩო შეხვედრამ ცხადყო, რომ ჩვენს მსროლელებს კარგი ფორმის მისაღწევად ჯერ კიდევ დიდი მუშაობა დასჭირდებათ. მომავალი საკავშირო სპარტაკიადა, რომელშიც კონკურენცია კიდევ უფრო ძლიერი იქნება, საქართველოს ტყვიის მსროლელებს დიდ მოთხოვნებს უყენებს.

რ. კაცობაშვილი.

• • •

სურათზე: ო. კვირიკაშვილი ცეცხლის ხაზზე.
ო. გელაშვილის ფოტო.

როგორ შეიქმნა კლუბი „ტყავის ხელთათმანი"

ნარკვევი

ადამიანი და მისი საქმეები... ეს ფორმულა მე მომწონს — ჯერ ადამიანი, მერე მისი საქმეები. მოდით, ჩვენი ნარკვევიც ასე დავიწყოთ: ჯერ ადამიანი!

დიმიტრი ტორგოვი დღეს იმ ასაკშია, როცა თანამშრომლებს უკვე ერიდებათ, უბრალოდ, დიმა დაუძახონ. ხანში შესულმა მანდილოსნებმა მიმართვა — „ჭაბუკო!" — შეცვალეს და ახლა უკვე „მოქალაქედ" მოიხსენიებენ. ბიჭებისთვის კი იგი ჩვეულებრივი „ძიაა", ერთგვარი თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ კარგა ხანია მეშჩანურს ვუწოდებთ, დიმიტრი ტორგოვი ხელმოცარული კაცია. სინამდვილეში კი იგი ბედნიერია როგორც ყველა, ვისაც მკაფიოდ ესახება მთელი თავისი ცხოვრების მთავარი მოწოდება. ტორგოვს ბევრი საზრუნავი და დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, თვალებში მაინც არ ჩაჰქრობია ბავშვური ნაპერწკალი.

ერთხელ ერთი ჩემი ნაცნობი ჭაბუკური კატეგორიულობით მიმტკიცებდა, რომ კაცობრიობა იყოფა ორ ნაწილად. ერთში შედიან „ადამიანი-ძრავები", მეორეში — „ადამიანი-ბალასტები". თუ ამ, ცოტა არ იყოს, თავისუფალ კლასიფიკაციას დავუჯერებთ, დ. ტორგოვი „ძრავების" რიცხვს მიეკუთვნება.

ტორგოვს ყველაფერი ჰქონდა: საფუძვლიანი ტექნიკური განათლებაც (ორი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა), მშვენიერი თანამდებობაც (წამყვანი ინჟინერ-კონსტრუქტორი იყო), კარგი ხელფასიც (250 მანეთი), პერსპექტიული სპეციალისტის რეპუტაციაც (რაციონალური წინადადებები, გამოგონებები). მართალია, ბევრ რამეს ჩამოშორდა, მაგრამ ეს გააკეთა საქმისთვის, საყვარელი საქმის გულისთვის.

ჩემი გმირის საქციელის მნიშვნელობას ალბათ ჩრდილს არ მივაყენებ, თუ ვიტყვი, რომ ასე მოქცევას რაღაც მიზეზმა მართლაც შეუწყო ხელი. დიმიტრი ტორგოვის შეგნებული ცხოვრება კრივით გატაცებით დაიწყო. იგი 14 წლისა იყო, როცა რინგზე პირველად შედგა ფეხი, რამდენიმე წლის შემდეგ კი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე გახდა. კატასტროფა სწორედ აღმავლობის პერიოდში მოხდა. საერთაშორისო შეხვედრისთვის შესარჩევი შეჯიბრება ტარდებოდა. ტორგოვი ამ შეჯიბრებიდან მოხსნეს. ძნელი სათქმელია, განსაკუთრებით ახლა, ვინ მართალი იყო და ვინ მტყუანი: ის, ვისაც საკითხის გადაწყვეტის უფლება ჰქონდა, თუ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ზედმეტად ფიცხი სპორტსმენი. უფრო საფიქრებელია, რომ დანაშაული ორივე მხარეს მიუძღოდა. კონფლიქტი მეტისმეტად გაღრმავდა და დიმიტრი იძულებული გახდა სპორტს განშორებოდა.

ძალიან ეტკინა გული, მაგრამ ეყო ძალა, რომ ეს გულისტკივილი ჩაეხშო, ახალი ინტერესი გამოეძებნა ცხოვრებაში. და უცებ...

ყველაფერი საწყობიდან დაიწყო, რომელიც ივანოვოს „ჩერიომუშკის" მშენებლებმა დატოვეს საქმის დამთავრების შემდეგ. შენობა — შიფერით გადახურული სილიკატის თეთრი აგურის კედლები — კეთილსინდისიერად იყო ნაგები.

დანარჩენი... დროებითი ნაგებობა დროებითი იმიტომ არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს უნდა აილონ. მაგრამ სწორედ აქ მოხდა, რაც მოხდა. აღმოჩნდა, რომ ამ საწყობზე ბევრს ეჭირა თვალი. ვაჭრობის მუშაკები ამ შენობაში საქონლის შენახვას ფიქრობდნენ; მოტოციკლისტები მოითხოვდნენ, ჩვენ გაგვიკეთეთ მანქანის სადგომიო. „მეტოქეები" მხოლოდ ერთ რამეში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: საწყობის აღება არამც და არამც არ შეიძლებაო. მათ ეთანხმებოდნენ ბიჭებიც, რომელთაც სურდათ ჰქონოდათ მოკრივეთა კლუბი — „ტყავის ხელთათმანი". ახალგაზრდებმა დახმარებისთვის ტორგოვს მიმართეს: იცოდნენ მისი წარსული გატაცების ამბავი.

თუ გახსოვთ, დიმიტრი „ძრავა-ადამიანების" კატეგორიას მივაკუთვნეთ. ამიტომ იგი სწრაფად აღმოჩნდა მოვლენათა მსვლელობის ცენტრში. როცა განსაკუთრებით გაუჭირდებოდა, ძველ კომუნისტებს ვ. კორიაგინსა და გ. ტერეხოვს სთხოვდა დახმარებას. ისინი კი „წითელი გუბერნიის" ვეტერანებისთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით აცხადებდნენ ყველა ინსტანციაში: თავს მოვიკლავთ და ბიჭებს ამ შენობას არ დავუკარგავთო. ტორგოვს ძალიან დაუჭირეს მხარი ფრუნზეს ფიზკულტურის რაიკომის თავმჯდომარემ ვ. ზაჟენოვმა და ავტოამწევების ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ალექსეევმა.

გამარჯვება კრივის ენთუზიასტებს დარჩათ და დ. ტორგოვის ცხოვრების ჩარხი ისევ დატრიალდა. ახალი საქმე დიდ ძალასა და მონდომებას მოითხოვდა. ერთ მშვენიერ დღეს საკითხი ასე დაისვა: დიმიტრის შუა გზაში უნდა მიეტოვებინა ბავშვები, რომელთაც მისი სწამდათ, ან ქარხნიდან უნდა წასულიყო. ტორგოვმა მეორე გზა აირჩია.

...ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდნენ. განათებას აწყობდნენ, კანალიზაციაც კი გაჰყავდათ, გათბობისთვისაც თვითონ იზრუნეს, საშხაპე და სანიტარული კვანძიც მოაწყვეს. ისე როგორ იქნებოდა?

მშენებლობას რვა თვე დასჭირდა, ზუსტად იმდენი, რამდენიც საწყობის „ბრძოლით მოპოვებას". საზეიმო მომენტი ბოლოს და ბოლოს მაინც დადგა. შენობის ფასადზე გამოაკრეს წარწერა: „კლუბი „ტყავის ხელთათმანი".

ასე შეიქმნა ივანოვოს ოლქში პირველი მოკრივეთა ახალგაზრდული კლუბი. ყველა იარაღი თვით დიმიტრის ნახაზებითა და უშუალო მონაწილეობით გაკეთდა. განსაკუთრებით რთული იარაღების გასაკეთებლად დიმიტრი დროებით თავის „ყოფილ" ქარხანასაც დაუბრუნდა. მალე მზად იყო რინგი, კრივის თორმეტი იარაღი, შვედური კედელი, ექვსი ორბართვულა, შტანგა, 50 წყვილი ჰანტელი და... ორი „ქაოსურად მოძრავი მსხალი" — ტორგოვის გამოგონება და სიამაყე.

ჩვეულებრივი მსხლის მოძრაობა დარტყმის დროს მოკრივისთვის წინასწარ ცნობილია. ნამდვილ მეტოქესთან ასეთი სტანდარტული ვარჯიშით ვერას გახდები. მეტოქის დარტყმას ყოველი მხრიდან უნდა ელოდე. ამიტომ სწორედ მოულოდნელი დარტყმების მოგერიება უნდა ისწავლო, ინჟინრისა და სპორტსმენის მონდომება წარმატებით დაგვირგვინდა. ახალი მსხალი ნამდვილ მეტოქესავით მოძრაობს, მოკრივეს მძაფრი, მოულოდნელ სიტუაციებში ბრძოლისთვის წვრთნის. სპორტის ოსტატი კრივში ვ. კაპიტონოვი ხშირად სთხოვს ტორგოვს: „ძალიან მომწონს ეს მსხლები. ცოტა ხანს მათხოვე, ვივარჯიშებ!".

ახლა კლუბის 150 წევრიდან ორმოცს მოზარდთა თანრიგი აქვს, ოცი მესამეთანრიგოსანია, ათზე მეტმა კი II თანრიგი მიიღო, სამმა პირველთანრიგოსნის სახელი მოიპოვა. სპორტსმენთა ასაკი 12-30 წელია. ესენი არიან მოსწავლეები, სტუდენტები, — საცდელი ხელსაწყოების, შიგსაჩარხი დაზგების, ავტოამწევების ქარხნების მუშები (სხვათა შორის, არც ერთ ამ ქარხანას საკუთარი სპორტული დარბაზი არა აქვს).

წაგების მერე ტორგოვის აღსაზრდელებიდან ბევრი ცხარე ცრემლით ტირის ხოლმე, მეორე დღეს კი ისევ რინგისკენ მიუწევთ გული. მე-6 სკოლის დირექტორი ს. ვოსტრიკოვი ერთ დროს ჩიოდა, იურა ლაპტევზე „რთული" ბავშვი ჯერ არ შემხვედრიაო. ახლა ლაპტევი პირველთანრიგოსანია, ქალაქის შარშანდელი ჩემპიონი. ზნეც შეიცვალა და ხასიათიც.

ტორგოვი? იგი ბავშვებს წვრთნის, ისევ ძველებურად დარბის ინსტანციებში, ისევ ძველებურად ათას საზრუნავსა და დაბრკოლებას უნდა გაართვას თავი, 100 მანეთით ნაკლებს იღებს, მთელ თავისუფალ, „საოჯახო" დროს საზოგადოებრივ საქმეებს ახმარს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს კაცი ბედნიერია და არც ერთ თავის საქციელს არ ნანობს, ოცნებობს მჭიდროდ დასახლებულ რაიონში კიდევ ერთი სპორტული დარბაზის გახსნაზე. გაოცებულია, რატომ არ შეიძლება ეს დარბაზი მოეწყოს თუნდაც რომელიმე ახალ სახლში, თუნდაც ერთ-ერთი რიგითი მაღაზიის მაგიერ?

ერთხელ კარგა ხანს ვისაუბრეთ და დავშორდით. ნახევარი საათის შემდეგ დამირეკა და მითხრა: „მინდა ბავშვებს ნამდვილი მებრძოლის ჟინი და შეუპოვრობა გაუჩინდეთ. აი, ეს არის ჩემი მთავარი მიზანი. ასე ჩაწერეთ!"

მე შევასრულე თქვენი თხოვნა, დიმიტრი.

ვ. ბარინოვი.
(საკდესის კორ.).

ივანოვო.

გათამაშების კალენდარი

11 მარტი

16.00. მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — უნივერსიტეტი (კრასნოდარი)
17.20. ცსკა — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)
18.40. „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „კუნცევო" (მოსკოვი)
20.00. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — ტირასპოლის სპორტკლუბი

13 მარტი

16.00. „კუნცევო" — ცსკა
17.20. ტირასპოლი — უნივერსიტეტი
18.40. საავიაციო ინსტიტუტი — მეტალურგიული ინსტიტუტი
20.00 „ბურევესტნიკი" — „ალუმინსტროი"

14 მარტი

16.00. „ალუმინსტროი" — ტირასპოლი
17.20. მეტალურგიული ინსტიტუტი — „კუნცევო"
18.40. უნივერსიტეტი — საავიაციო ინსტიტუტი
20.00. ცსკა — „ბურევესტნიკი"

16 მარტი

16.00. „ალუმინსტროი" — ცსკა
17.20. ტირასპოლი — საავიაციო ინსტიტუტი
18.40. „კუნცევო" — უნივერსიტეტი
20.00. „ბურევესტნიკი" — მეტალურგიული ინსტიტუტი

17 მარტი

10.00. ცსკა — ტირასპოლი
11.20. მეტალურგიული ინსტიტუტი — „ალუმინსტროი"
12.40. საავიაციო ინსტიტუტი — „კუნცევო"
14.00. უნივერსიტეტი — „ბურევესტნიკი"



რუსთავის საერთაშორისო...

ტრადიციად იქცა, რომ სსრ კავშირის მოტოკროსმენები სეზონს საქართველოში ხსნიან. აქამდე პირველი შეჯიბრებები ქვეყნის ჩემპიონატის პირველ სამ ეტაპს ეთმობოდა, წლეულს კი რუსთავის მიდამოებში მოწყობილი ტურნირის სტარტზე საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილენი — ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირისა და საქართველოს საუკეთესო მოტოციკლისტები გამოვიდნენ. შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებსაც. ისინი კარგა ხნით ადრე ჩამოვიდნენ, ვარჯიშობდნენ, ტრასასაც გაეცნენ, მაგრამ სწორედ ტრასის სირთულის გამო გუნდის ხელმძღვანელობამ სპორტსმენებს სარბიელზე გამოსვლის უფლება არ მისცა.

მოტოსპორტის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, კურსი გუნდის გაახალგაზრდავებისკენ აიღეს. ამიტომ სსრ კავშირის ნაკრებში ბევრი ცნობილი სპორტსმენი ვერ ვიხილეთ. და მაინც, მაყურებელი საინტერესო ასპარეზობის მოწმე გახდა. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ სხვადასხვა კუბატურის მოტოციკლებით რბოლაში სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონები, სპორტის ოსტატები პ. რულიოვი და მ. რასტვორცევი, ქვეყნის ჩემპიონი და „დუნაის თასის" მფლობელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. მოისეევი (ყველა — ლენინგრადი), სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. კავინოვი, სპორტის ოსტატები ა. კიბირინი, ვ. კრასნოშჩოკოვი (ყველა — კიევი), ვ. ოვჩინიკოვი (პოლტავა), ა. ანგერსი (რიგა), სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონი გ. პოპენკო (ცსკა)...

ჩეხოსლოვაკიელები 4 სპორტსმენით ჩამოვიდნენ. როგორც პრაღელმა მუშამ, „რუდა გვეზდას" წევრმა, პირველთანრიგოსანმა იაროსლავ გომოლამ გვითხრა, მისი სამი თანაგუნდელი სხვადასხვა ქალაქიდანაა. პირველთანრიგოსანი ზ. სტრნადი ბრნოელია, სპორტის ოსტატი კ. კონეჩნი ოსტრაველი სტუდენტია, მუშა ი. სტოდულკა კი ვოლოსკოე მეზეჟიჩიდანაა. ორი უკანასკნელი „დუკლას" სახელს იცავს, თანაც, ისინი ქვეყნის საუკეთესო კროსმენებად ითვლებიან.

მართლაც, ჩეხოსლოვაკიელები 500 კბ სმ მანქანებით ასპარეზობდნენ და შესანიშნავი ტექნიკაც გამოავლინეს.

როგორც „250-ანებს," ისე „500-ანებს" ორ-ორი ცდის უფლება ეძლეოდათ. სტარტს ყველა ერთად იღებდა და ცდას დაახლოებით 50 წუთს ანდომებდნენ ერთობ რთული პროფილის ტრასაზე, რომელსაც ბევრი აღმართი, ბუნებრივი ტრამპლინი და სხვა დაბრკოლება ჰქონდა.

შეჯიბრებას დიდძალი მაყურებელი ჰყავდა. ასპარეზობა მართლაც მიმზიდველი და საინტერესო გამოდგა. პირველი ცდით შუა რბოლის შემდეგ დაწინაურდნენ № 1 (მოისეევი), № 3 (კიბირინი), № 2 (კავინოვი), № 6 (ა. კლდიაშვილი), № 17 (სტოდულკა), № 18 (კონეჩნი), № 19 (სტრნადი), № 20 (გომოლა) და № 23 (ოვჩინიკოვი).

პირველი ოთხეულის წევრები 250 კბ სმ მოცულობის მოტოციკლებით მოასპარეზე 16 სპორტსმენის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ. მათ ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს. ოღონდ ცდის ფინიშთან ოდნავი გადანაცვლება მოხდა: მოისეევს კავინოვმა გაუსწრო, სტოდულკას — კონეჩნიმ, სტრნადს — ოვჩინიკოვმა, გომოლას კი მანქანა გაუჯიუტდა და, ვიდრე გზას გააგრძელებდა, საკმაოდ ჩამორჩა.

მეორე ცდა გადამწყვეტი იყო. ამიტომაც ყველა სტარტიდანვე დაწინაურებას შეეცადა. ამიტომ იყო, რომ პირველივე ვირაჟმა ყველა ვერ დაიტია, სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯახნენ და ხუთი მეწინავე დაეცა. მართალია, ისინი სწრაფად წამოდგნენ და ბრძოლა გააგრძელეს, მაგრამ გამარჯვების ყველა შანსი დაკარგული ჰქონდათ.

ლიდერობდნენ კონეჩნი და კავინოვი. მალე ტრასაზე ყველაფერი მოწესრიგდა. შემთხვევით ჩამორჩენილი უძლიერესები მდგომარეობის გამოსწორებისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ. კიბირინმა ჯერ გომოლას ჩამოტოვება შეძლო, მერე რასტვორცევს, კრასნოშჩოკოვსა და მოისეევს აუარა გვერდი. მეცხრე წრეზე კავინოვს მანქანა ტრასიდან გაექცა და კიბირინს ჩამორჩა. კიბირინი „250-ანების" წინა ცდისას მესამე გახლდათ. ახლა საკმარისი იყო კავინოვისთვის ამ ჯგუფის კიდევ ერთ რომელიმე წევრს გაესწრო, რომ კიბირინი პირველობას მოიპოვებდა.

მაგრამ კავინოვი პოზიციების დათმობას სულაც არ აპირებდა. მან მდგომარეობა შეჯიბრების ბოლომდე გამოასწორა, მართალია, რბოლა კიბირინის შემდეგ დაამთავრა, მაგრამ მას ოდნავ ჩამორჩა და ორი ცდის ჯამში გამარჯვება დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდა კიბირინი, III — მოისეევი. 250-ანების კლასში საქართველოს 7 მოტოციკლისტი მონაწილეობდა. საუკეთესო გახლდათ თბილისელი ოსტატი კლდიაშვილი, რომელმაც IV ადგილი დაისაკუთრა.

„500-ანებში" კონეჩნიმ ლიდერობა ბოლომდე არ დათმო. II ადგილი მოიპოვა ოვჩინიკოვმა, III — სტოდულკამ. საქართველოს სპორტსმენებიდან საუკეთესომ ვ. ტკაჩენკომ (თბილისის ასკ) VII ადგილი დაიკავა.

ჩეხოსლოვაკიელთა გუნდს გადაეცა მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს სამახსოვრო პრიზი, ტურნირის საუკეთესო მონაწილეებს — მეტალურგთა ქალაქის ორგანიზაციების ფასიანი საჩუქრები.

ამ სპორტსმენთა მონაწილეობით 13 მარტს შეჯიბრება გაიმართება დელისში. ტურნირი 13 საათზე დაიწყება.

ო. ივდოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
რუსთავი.

• • •

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

ავტორის ფოტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

მატჩი გააპროტესტეს

თბილისი. სპორტის სასახლე. 9 მარტი.

„კუნცევო" (მოსკოვი) — ტირასპოლის სპორტკლუბი 18:16 (12:8).

მსაჯები: გ. ძაგანია და ვ. ელგუჯაური (ორივე — თბილისი).

ამ მატჩით დაიწყო სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა X ჩემპიონატის პირველი წრე. ორივე გუნდმა უნიათოდ ითამაშა. ნელი ტემპით გადაადგილება, ბურთის ნელი გადაცემა — აი, 60-წუთიანი ბრძოლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი. „კუნცევომ" მეტოქეთა შეტევებს დაუპირისპირა მკვეთრი, მაგრამ წესებით დაშვებული თამაში დაცვაში. შესვენებისთვის სწორედ ამის ხარჯზე შეძლეს მოსკოველებმა 4 ბურთით დაწინაურება.

შესვენების შემდეგ ტირასპოლელებმა უკეთ ითამაშეს და საგრძნობლად შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, თუმცა წაგებას მაინც ვერ გადაურჩნენ.

„ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — უნივერსიტეტი (კრასნოდარი) 18:25 (12:13).

მსაჯები: ა. ნიკოლაევი და ი. ტარანუხინი (ორივე — ლენინგრადი).

როგორც ცნობილია, კრასნოდარელთა გუნდი ღონიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ზაპოროჟიელთა ტექნიკურ თამაშს სტუდენტებმა სწორედ ძალა დაუპირისპირეს. მართალია, პირველ ტაიმში ამას ანგარიშში დამაჯერებელი უპირატესობა არ მოჰყოლია, მაგრამ შესვენების შემდეგ ზაპოროჟიელებმა ვეღარ გაუძლეს კრასნოდარელთა მძლავრ იერიშს და ფარ-ხმალი დაყარეს. სტუდენტებში გამოირჩეოდნენ მაქსიმოვი და პანოვი. სწორედ ამ კარგად შეთამაშებული დუეტის მონდომებამ უზრუნველყო კრასნოდარელთა საბოლოო გამარჯვება.

ერთი დეტალი: თამაშის დამთავრებას რაღაც წამები აკლდა, როცა მაქსიმოვმა ბურთი მიიღო და დაახლოებით 18 მეტრიდან მძლავრი დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა. ასეთ დარტყმებს, სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ ვხვდებით, როცა გუნდი 1 ბურთით აგებს, ან ანგარიში საყაიმოა. საბჭოთა ხელბურთელები უმთავრესად ახლო მანძილიდან ცდილობენ მეტოქეთა კარის აღებას.

მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — ცსკა 16:16 (10:9).

მსაჯები: ჩ. ახუნდოვი (ბაქო) და ვ. ელგუჯაური.

ცსკა „ა" კლასის არც თუ ძველი ბინადარია. აგერ მესამე წელია, რაც გუნდი კომპლექტდება სხვადასხვა კლუბის ნიჭიერი მოთამაშეებით, მაგრამ ჯერჯერობით ვერ იქნა და ვერ დავინახეთ თანაბარი ძალით მოთამაშე კოლექტივი. ახლა ამ გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელად მოწვეულია წარსულში ცნობილი მოთამაშე გ. ლებედევი და, ვფიქრობთ, მისი მეცადინეობა ფუჭად არ ჩაივლის. ზაპოროჟიელებთან შეხვედრაში უკვე შესამჩნევი იყო ლებედევის ხელწერა: არმიელები შეტევას აგებდნენ ცენტრიდან მოქმედებით, ხოლო გადამწყვეტი დარტყმის წინ ბურთს დიდხანს ათამაშებდნენ. ლებედევსაც ხომ სწორედ ეს ტაქტიკური ვარიანტი არაერთხელ გამოუყენებია წარმატებით.

ბუნებრივია, მარტო ამ ხერხით საბოლოო გამარჯვების მოპოვება ძნელია. „ა" კლასის გუნდის საბრძოლო შეიარაღებაში კიდევ ბევრი სხვა კომპონენტია საჭირო და ეს არც ლებედევისთვისაა უცნობი. უბრალოდ, ამისთვის დროა აუცილებელი.

ზაპოროჟიელების თამაშისთვის დამახასიათებელია დიდ სისწრაფეზე კარგად აწყობილი კონტრშეტევა. ამ ორი საპირისპირო ხერხის გამოყენებამ ორივე გუნდს საბოლოოდ თითო ქულა მოუტანა.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი 21:24 (11:13).

მსაჯები: რ. სკინდერისი (კაუნასი) და ი. ტარანუხინი.

ცერცვაძე! იგი მუდამ მთავარ პრობლემად რჩება ყველა რანგის მეტოქეებისთვის. მას ამჯერადაც პერსონალური მეურვე მიუჩინეს: ცერცვაძეს მთელი მატჩის მანძილზე ლანდივით დასდევდა ქურავლიოვი. მის მეურვეთა შორის ქურავლიოვი იმითაც არის საშიში, რომ ერთობ მახვილი თვალი აქვს და შეუძლია ერთდროულად მეორე საქმეც აკეთოს: მეტოქის ბურთი ჩაჭრას და კონტრშეტევა წამოიწყოს. შეხვედრის დასაწყისში ქურავლიოვმა ორჯერ მოახერხა ამ ხერხის გამოყენება. შემდგომში თბილისელები მეტი სიფრთხილით მოქმედებდნენ.

შეტევაში არც ერთი გუნდი არ უდებდა ტოლს ერთმანეთს, მაგრამ თბილისელები ხშირად სცდებოდნენ დაცვაში, მოსკოველები კი, პირიქით, ამ რგოლში უკეთ თამაშობდნენ. ამას დაერთო ისიც, რომ მასპინძელთა მეკარე ხუციშვილი ამჯერად მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა.

თითოეულ გუნდში 2-2 მოთამაშემ გაიტანა ყველაზე მეტი (6-6) გოლი. მოსკოველთაგან ესენი იყვნენ კოჟუხოვი და მახორინი, თბილისელთაგან — ბუნაძე და გ. ბერიაშვილი. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ბუნაძე და კოჟუხოვი, რომელთა უვნებელყოფა დაცვამ ვერ მოახერხა.

დანარჩენი გოლების ავტორები არიან: თბილისელთაგან — ფხაკაძე, დვალიშვილი — 3-3, ცერცვაძე — 2, ნარიმანიძე — 1; მოსკოველთაგან — კლიმოვი — 4, ეფიმოვი, ქურავლიოვი — 3-3, ოგანეზოვი — 2.

თბილისელებმა მატჩი გააპროტესტეს: მოსკოველთა გუნდში ითამაშა რიგის „დაუგავადან" გადმოსულმა მეკარემ ი. ვილსონსმა. ვილსონსს ამ გუნდის სახელით გამოსვლის უფლება ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ხელბურთის განყოფილებამ მისცა, რაც წესებით დაუშვებელია. საამისოდ საჭიროა საკავშირო კომიტეტის სპეციალური ბრძანება. ასეთი ბრძანება კი ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგიას არ ჰქონია.

ჯ. ენუქიძე.

• • •

სურათზე: ჯ. ცერცვაძე დაუსხლტა თავის ორ მეურვეს და საბოლოო დარტყმისთვის აღიმართა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ჯუფინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა X საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის II ტურის თამაშები. პირველი ორი მატჩი ასე დამთავრდა: ტირასპოლის სპორტკლუბი — მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 11:23 (5:12), უნივერსიტეტი (კრასნოდარი) — ცსკა 21:20 (11:8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითამაშებენ ჭაბუკები

13 მარტს ჩვენი რესპუბლიკის სტადიონებზე სტარტს აიღებს საქართველოს პირველობა მოსამზადებელი ჯგუფებისა და სპეციალიზებული სკოლების ფეხბურთელთათვის. ეს მნიშვნელოვანი ტურნირი მოზარდთა საკავშირო შეჯიბრების პირველ ეტაპს წარმოადგენს. იგი ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

გათამაშებაში დაშვებულია 16 კოლექტივი: განათლების განყოფილების სპეციალიზებული სკოლა (თბილისი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (გაგრა), „დინამო“ (ბათუმი), „მერცხალი“ (მახარაძე), „მეშახტე“ (ტყიბული), „კოლხეთი“ (ფოთი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „მეტალურგი“ (რუსთავი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი), „განთიადი“ (თბილისი), „დილა“ (გორი), სკოლა-ინტერნატი (თბილისი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი), „დინამო“ (თბილისი), „დინამო“ (სოხუმი), „ლოკომოტივი“ (თბილისი).

შეჯიბრებაში მონაწილეობენ 1953-55 წლებში დაბადებული ჭაბუკები. გათამაშება ჩატარდება ერთ წრედ. პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ჭაბუკთა საკავშირო გათამაშების ნახევარფინალში.

13 მარტს ითამაშებენ „მეტალურგი“ (რუსთავი) — საფეხბურთო სკოლა (თბილისი).

მოგვყავს 14 მარტის კალენდარი: განათლების განყოფილება (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი), საფეხბურთო სკოლა (გაგრა) — „დინამო“ (სოხუმი), „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (თბილისი), „მერცხალი“ (მახარაძე) — ახალგაზრდული სკოლა (თელავი), „მეშახტე“ (ტყიბული) — თბილისის სკოლა-ინტერნატი (მატჩი შედგება ოჩამჩირეში), „კოლხეთი“ (ფოთი) — „დილა“ (გორი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „განთიადი“ (თბილისი).

• •

საფეხბურთო თბილისი

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ფეხბურთის შემდგომი განვითარებისთვის დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი. გაიზარდა გუნდების რაოდენობა საქალაქო შეჯიბრებათა I და II ჯგუფებში, შეიქმნა ახალი, III ჯგუფიც. ბუნებრივია, გაიზრდება მატჩების რიცხვიც და შეჯიბრებაში ახალგაზრდა ფეხბურთელთა მეტი რაოდენობა მიიღებს მონაწილეობას.

თბილისის ჩემპიონატი დაიწყება 21 მარტს. „ცისარტყელის“ სტადიონზე (ოქროყანა) საზეიმო ვითარებაში გაიხსნება გათამაშება და ჩატარდება პირველი თამაშები. საზეიმო გახსნის ცერემონიალში მონაწილეობის გარეშე გუნდები კალენდარულ თამაშებზე არ დაიშვებიან.

16 მარტს 19 საათზე ინდუსტრიული ტექნიკუმის შენობაში (ორჯონიკიძის ქ. № 49) შედგება მწვრთნელთა და წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი.

ი. ბოჭორაძე,
თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს ჩემპიონატი

14 მარტის კალენდარი

მოგვყავს საქართველოს ჩემპიონატის 14 მარტის კალენდარი: „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ქართლი“ (გორის რაიონი), „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე), „ციხკარი“ (სიღნაღი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „განთიადი“ (ცხინვალი) — „გიგანტი“ (ლაითური), „დინამო“ (ზუგდიდი)—„ეგრისი“ (ცხაკაია), „ვარძია“ (ასპინძა) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი), „კახეთი“ (თელავი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა), „სქური“ (წალენჯიხა) — „სამცხე“ (აწყური), „ისანი“ (თბილისი)—„სულორი“ (ვანი), ასკ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „სინათლე“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი).

კიდევ ერთი შეხვედრა

აშხაბადი, 8 მარტი. გუშინ აქ გაიმართა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების პირველი წრის (1/32) ბოლო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ვილნიუსის „ჟალგირისი“ და დუშანბეს „პამირი“.

გაიმარჯვეს დუშანბელებმა — 3:2.

სსრ კავშირის თასი

[illegible] … 19^{45}

◆ **ლენინგრადი, 10 მარტი.** გორლოვკელი მეშახტე, 24 წლის ბ. კლიუკინი, რომელმაც ამ დღეებში მიიღო ოსტატის წოდება, სათავეში უდგას პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატს. ლიდერს 3 ქულა აქვს 3-დან. სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კლიუკინის ეფექტურმა გამარჯვებამ ეტლების რთულ დაბოლოებაში ს. ნაკონეჩნისთან (ნიკოლაევი) თამაშისას. II ადგილზეა ოდესელი ოსტატი რ. პელცი — 2,5 ქულა. მაგრამ შეიძლება მას დაეწიოს პროფკავშირთა 1968 წლის ჩემპიონი, მიმოწერით თამაშში დიდოსტატი გ. ბორისენკო (მან მატერიალური უპირატესობით გადადო პარტია სამარყანდელ ვ. ვორონოვთან). მომდევნო ადგილებზე ერთნაირი შედეგებით (2-2 ქულა) ოთხი ოსტატია: კიეველი ი. სახაროვი, კიშინიოველი ი. მოსიონჟიკი, ლენინგრადელი გ. ჩეპუკაიტისი და ფრუნზელი გ. უსტინოვი. ტურნირის ყველაზე ხნიერმა მონაწილემ, ვილნიუსელმა საერთაშორისო ოსტატმა ვ. მიკენასმა სამივე შეხვედრა ყაიმით დაამთავრა და 1,5 ქულა დაუგროვდა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება საერთაშორისო ოსტატი ვ. ოსნოსი (ლენინგრადი). ფინალური ტურნირი, რომელშიც 18 მოჭადრაკე მონაწილეობს, მარტის ბოლომდე გასტანს.

„საუკუნის მატჩი“ და... აუქციონი

ნიუ-იორკი, 9 მარტი. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის გუშინ გამართული „საუკუნის მატჩი“: მუჰამედ ალი — ჯო ფრეზერი ამერიკული პრესის უდიდეს ინტერესს იწვევს. ამ შესანიშნავი მძიმეწონოსანი მოკრივეების უაღრესად მწვავე და საინტერესო დუელს გაზეთების მთელი გვერდები ეთმობა. ჟურნალისტთა დიდი ნაწილი ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ მუჰამედ ალის სპორტულ ფორმაზე ძალიან იმოქმედა იძულებითმა ხანგრძლივმა შესვენებამ. ალბათ გახსოვთ: 1967 წელს ალის უკანონოდ ჩამოართვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული იმის გამო, რომ მან უარი თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარის შემადგენლობაში ვიეტნამში საომრად გამგზავრებაზე. ამ სახელის ჩამორთმევას მოჰყვა ის, რომ ალის სამ წელზე მეტ ხანს აკრძალული ჰქონდა რინგზე გამოსვლა.

ყოველივე ამას არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ალის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაზე, ტექნიკურ არსენალსა და ტაქტიკურ აზროვნებაზე.

მაგრამ გაზეთები აღნიშნავენ, რომ ფრეზერმა დამსახურებულად მოიგო ეს დრამატული ორთაბრძოლა. საკმარისია აღინიშნოს, რომ რაუნდების დიდი ნაწილი მისი უპირატესობით მიმდინარეობდა, რაც მსაჯთა ოქმებშიც სათანადოდ იყო აღნუსხული.

ალის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ახალ ბრძოლებში შეეცდება თავისი ტიტულის დაბრუნებას. ამავე დროს, გამოცხადებულია, რომ წლის ბოლოს გაიმართება ამ ორი შესანიშნავი მოკრივის მატჩ-რევანში.

„მედისონ სკვერ გარდენში“ გამართულმა „საუკუნის მატჩმა“ მთელს სამყაროში უზარმაზარი ინტერესი გამოიწვია. მატჩის ორგანიზატორმა ბიზნესმენებმა, მართალია, 5 მილიონი დოლარი თანაბრად გაუყვეს ორივე მეტოქეს, მაგრამ თვითონ სეიფებში ათჯერ უფრო მეტი თანხა მოათავსეს. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ასტრონომიულ ფასად ჰყიდდნენ სხვადასხვა ქვეყანაში მატჩის რადიოტრანსლაციისა და ტელეგადაცემის უფლებას. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ალისა და ფრეზერის შეხვედრას სპეციალურ კინოთეატრებსა და დიდ საკონცერტო დარბაზებში უჩვენებდნენ. ბილეთის ფასი დაახლოებით 20 დოლარი იყო.

კიდევ ერთი დეტალი: გამოცხადებულია აუქციონი, სადაც შეიძლება მსურველმა შეიძინოს მოკრივეთა ნივთები ხელთათმანით დაწყებული და... ტრუსებით დამთავრებული.

• • •

ამ ორ სურათზე მუჰამედ ალისა და ჯო ფრეზერის ორთაბრძოლის მე-15 რაუნდის ერთი მომენტია აღბეჭდილი. მარცხნივ თქვენ ხედავთ მომენტს, როცა ფრეზერმა მარცხენა ხელით მძლავრად დაარტყა ალის; მარჯვენა სურათზე ალი უკვე ნოკდაუნშია.

მართალია, მუჰამედ ალი ორ დათვლაზე ფეხზე წამოდგა, მაგრამ ბრძოლის გაგრძელება წინანდებური ტემპით ვეღარ შეძლო.

იუპი — აპ — საკდესის ტელეფოტო.

ჩვენი [illegible]

ბრიანსკის ოლქის ტურისტული მარშრუტები

ამ ლამაზ ქალაქში, რომელსაც „ბულბულების ქალაქსაც“ ეძახიან და სადაც ხშირად ტარდება ბრიანსკელ მოთხილამურეთა თუ კროსმენთა შეჯიბრებები, დაიწყო 270-ადგილიანი სასტუმრო „ტურისტის“ მშენებლობა. სასტუმროს ექნება მაყურებელთა დარბაზი და რესტორანიც.

— ბოლო წლებში ბრიანსკის ოლქში ტურისტთა ნაკადმა საგრძნობლად იმატა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს დ. კუზნეცოვს ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ი. ზიგეროვმა. — შარშან ჩვენს მხარეში იყო მოგზაურობის 40 ათასზე მეტი მოყვარული. წლეულს უკვე გვეწვივნენ ტურისტები ლენინგრადიდან, კიევიდან, ოდესიდან, საქართველოდან, ბელორუსიიდან და სხვ.

ეს ინტერესი გასაგებია. ბრიანსკის ოლქში ყველა პირობა არსებობს კარგი დასვენებისთვის: შესანიშნავი ბრიანსკის ტყე, მდინარეები და ტბები, ისტორიული ძეგლები. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ტურისტული ბაზა გვაქვს, რომელიც ახლა კიდევ გაფართოვდა: მწყობრში ჩადგა ახალი 120-ადგილიანი კორპუსი. ტრუბჩევსკში იწყება ტურისტული კემპინგის მშენებლობა. ამ ზაფხულს გაიხსნება სამდღიანი მარშრუტი ბრიანსკი — ტრუბჩევსკი. ტურისტები მდინარე დესნაზე იმოგზაურებენ ნავებით, ბაიდარებითა და ტივებით, რომლებსაც მათ ტურიზმის საბჭო სთავაზობს.

ტურიზმი ჩვენი ოლქის მოსახლეობაში სულ უფრო მასობრივი ხდება. ამას ხელი შეუწყო პარტიის საოლქო კომიტეტის, საოლქო აღმასკომისა და პროფსაბჭოს ერთობლივმა სპეციალურმა დადგენილებამ. მარტო 1970 წელს საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოწყობილ ტურისტულ ლაშქრობებსა და ექსკურსიებში მონაწილეობა მიიღო ბრიანსკის ოლქის 100 ათასამდე მუშა-მოსამსახურემ და კოლმეურნემ. ეს სამჯერ მეტია, ვიდრე ორი წლის წინ. ჩვენი სურვილია, — თქვა დასასრულს ი. ზიგეროვმა, — ახალ ხუთწლედში ტურიზმში 300 ათასამდე მშრომელი ჩავაბათ.

კვლავ ტრაგედია

სალვადორი, (საკდესი). ბრაზილიის ამ ქალაქში საფეხბურთო მატჩის დროს ოთხი კაცი დაიღუპა და 1500 დაიჭრა.

ახლახან აგებულ სტადიონზე, რომელიც 100 ათას მაყურებელს იტევს, მატჩის მსვლელობისას მოულოდნელად გასკდა ორი უზარმაზარი ნეონის ნათურა. პანიკით შეპყრობილი მაყურებლები გასასვლელებისკენ გაცვივდნენ. ამ არეულობამ ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია.

[illegible]

ბერლინი. გდრ-ის, უნგრეთისა და შვეიცარიის ტყვიის მსროლელთა აქ გამართულ მატჩში საბრძოლო ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლაში მასპინძელმა მუნცერტმა 1157 ქულა დააგროვა და ჯ. ანდერსონის (აშშ) მსოფლიო რეკორდი გაიმეორა. გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებმა 4590 ქულა მოაგროვეს და II ადგილზე გასულ უნგრელებს 38 ქულით აჯობეს.

▲ **შუგერლიფი** (აშშ). 22 მარტს აქ დაიწყება ევროპისა და ამერიკის სამთომოთხილამურეთა მატჩი, რომელშიც ამ ორი კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენები გამოვლენ. როგორც ცნობილია, ამას წინათ აქ გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი.

▲ **სიდნეი.** დამთავრდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რ. ლეივერი და რ. ემერსონი. გაიმარჯვა ლეივერმა — 6:3, 5:7, 6:3, 3:6, 6:3. პროფესიული ჩოგბურთის ბრწყინვალე ვარსკვლავმა ამ წარმატებისთვის საჩუქრად 10 ათასი დოლარი მიიღო. სხვადასხვა ტურნირში გამარჯვებისთვის ლეივერს ბოლო ერთი წლის მანძილზე ჯილდოს სახით მიღებული აქვს 110 ათას დოლარზე მეტი.

▲ **პარიზი.** ხუთი ეროვნების თასის გათამაშებაში კიდევ ორი მატჩი გაიმართა. ფრანგმა რეგბისტებმა ინგლისელთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და ფრეს (21:21) დასჯერდნენ. ირლანდიელებმა დაამარცხეს შოტლანდიელები — 17:5.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 12 მარტს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 08474